საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

**Minister of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia**

KA030116765681519

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

**№ 01/13581**

**25 / ივლისი / 2019 წ.**

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის
სეუ" - ს რექტორს ბატონ გია კავთელიშვილს
მის: ქ. თბილისი, წინანდლის ქუჩა N9

## გადაწყვეტილება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის განხორციელების შესახებ

2019 წლის 13 ივნისს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ"-ს რექტორმა გია კავთელიშვილმა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის განხორციელების შესახებ.

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი იქნა სარეგისტრაციოდ აუცილებელი დოკუმენტები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის: „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის №01-25/ნ ბრძანების მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიღებულია გადაწყვეტილება თქვენს მიერ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე